# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## დადგენილება № 11-29

„27" აპრილი 2016 წ

ქ. თბილისი

**„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის №33-129 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის №33-129 დადგენილებაში (ვებგვერდი www.matsne.gov.ge, 04/01/2016, სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.101.016255) და დადგენილების პირველი მუხლის „გ" ქვეპუნქტით დამტკიცებულ „ორთოპედიულ დაავადებათა სკრინინგი და აღდგენითი თერაპიის ქვეპროგრამის განხორციელების წესში" (დანართი №3) შევიდეს ცვლილება და მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის $3^1$ პუნქტი:

„$3^1$. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დაფინანსების განმსაზღვრელი კრიტერიუმებში ცვლილება არ იწვევს დაფინანსების ოდენობის ცვლილებას მომსახურების მიღების დასრულებამდე".

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი